1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილა

იანვარ-თებერვალი 1997 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო.



# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ბაგრატიონი

## ნანა

ვეტყვი აზოს ნანასა, მისსა შესაგვანასა,
ტკბილად რასმე მილისა ადრე მოსაყვანასა.
ჩემსა ლიზღუ ტანასა, ჩვილსა, ჰაწაწანასა,
მიუჯდები აკვანსა, ურწებ ზანის ზანასა.
მშობელთ სათუთანასა, ჰირმზე, ლელწამტანასა,
ქვეყნად ვითა ჰაერთა, ვარსკვლავს მოტატანასა.
ახალს ბანოანასა, არ უგვაროვანასა,
თვალ-წარბ გარდახატულსა, სასურ სატრფოანასა.
ნაზსა, ლამაზმანასა, სუფთა ფაქიზანასა,
ღაწვნი მობალახშვიან, აწ ეე კეკლუცანასა.
ქალსა კოკროჭანასა, კაბა ნაოჭანასა,
ჩემის სევდის მუფარახს, გულთა საოხჭანასა...
სულთა მისამღვანასა, მე, გლახ, შენისთანასა
ვერა ვჰპოვებ, შენმა მზემ, სრულად ამ ქვეყანასა.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

მხატვარი ნუგზარ გიგაური

# საუბარი მცნებების შესახებ

მოდით, ერთად დავფიქრდეთ - ნებისმიერი საქმის კეთებას გარკვეული წესების ცოდნა ხჭირდება. მაგალითად, ვიოლინოს დაკვრა რომ სცადოთ, თუ აქამდე არ გისწავლიათ, არაფერიც არ გამოგივათ. თამაშსაც კი თავისი წესი აქვს. უამრავ საქმეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში არის ურთიერთობა სხვა ადამიანებთან და ურთიერთობა ღმერთთან. ამ საქმესაც, ისევე როგორც ყველა დანარჩენს, აქვს თავისი წესები. ისინი ადამიანებს ღმერთმა ასწავლა. მათ მცნებები ეწოდება, ყველა საღვთო წესს ერთად კი - სჯული.



პირველ ადამიანებს - ადამსა და ევას - სამოთხეში ცხოვრებისას ღმერთი თავად უცხადებდა და ასწავლიდა მცნებებს. ადამიანს რომ ღვთის მცნებები შეესრულებინა, შეიცნობდა ღმერთს, სამყაროს, საკუთარ თავს, გახდებოდა სამყაროს მეუფე და მარადიულად იცხოვრებდა ბედნიერი ცხოვრებით. მაგრამ ადამიანმა არ შეასრულა მცნება. მცნების არ შესრულებას, ცოდვა ჰქვია. ცოდვის შედეგად ადამიანმა დაკარგა ღმერთი. სულიერი ცოდნისა და სულიერი მასწავლებლის, ანუ ღმერთის გარეშე, დარჩენილი ადამიანები კი შეიძლება შევადაროთ პატარა ბავშვებს, რომლებიც უდაბურ კუნძულზე მოხვდნენ და ისიც კი არ იციან, როგორ მოიპოვონ საკვები. მაგრამ თავად ღმერთს არ დაუვიწყებია ადამიანი, რომელიც მან თავის ხატად და მსგავსად შექმნა; ამიტომ მისცა მას სინდისი, ანუ ღვთის ხმა ჩვენში. ყოველთვის, როცა ჩვენ ცოდვას ჩავდივართ, სინდისი გვეუბნება, რომ არასწორად მოვიქეცით. სამწუხაროდ, ადამიანი ხშირად არ უსმენს სინდისს. ისევ ღმერთი გამოეცხადა ადამიანებს, უფრო ზუსტად ებრაელ ერს, რომელსაც შემორჩენილი ჰქონდა ჭეშმარიტი, ესე იგი ნამდვილი ღმერთის ხსოვნა; ერის წინამძღოლს, მოსეს, მისცა ორ დაფაზე დაწერილი ათი მცნება, რათა ადამიანებს აღარ დაევიწყებინათ ისინი. რას ეხება ეს მცნებები!?

პირველი მცნება - **„მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“** - გვასწავლის, რომ უპირველესად უნდა შევიმეცნოთ, ანუ უნდა ვიცნობდეთ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, ვინც შეგვქმნა, გვზრდის, გვპატრონობს და მარადიულ სიცოცხლეს გვპირდება. ამისათვის უნდა ვიკითხოთ წმინდა წერილი. ასე ჰქვია იმ წიგნებს, სადაც ამოიკითხავთ ღვთის სიტყვას, ღვთის საქმეებს, რომლებიც გვიჩვენებენ ღვთის სიყვარულს ჩვენდამი. ეს წიგნებია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ანუ ბიბლია. წმინდა წერილი გვამცნობს, რომ ღმერთი არის უმაღლესი არსება - ყოვლისშემძლე, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისმცოდნე მარადიული სული, სამება-მამა, ძე და სული წმინდა. სამება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სამი ღმერთი არსებობს. მაგალითად, მზეში განირჩევა მზის სფერო, მისი სინათლე და სითბო, თავად მზე კი ერთია. ასევეა სამებაც. ღმერთმა ინება მიეღო ადამიანის, კაცის სახე. განკაცებული ღმერთი არის ძე ღმერთი - იესო ქრისტე.

თუ კარგად გავიცნობთ ღმერთს, მაშინ გვექნება მისი რწმენა და სიყვარული. რწმენა არის იმის ურყევად ცოდნა, რომ უმთავრესი ჩვენს ცხოვრებაში არის ღმერთთან სიახლოვე.

მეორე მცნება გვასწავლის: **„არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა-ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა - ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა - ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ“.**

რა არის კერპი? იმ ხალხმა, ვინც ნამდვილი ღმერთი დაივიწყა, შეცდომით გაალმერთა ბუნების ძალები ანდა თვითონ შექმნა უცნაურ არსებათა ქანდაკებები და გამოსახულებები. ადამიანებს ეგონათ, რომ ასეთ გამოსახულებებს - კერპებს, როგორც ღმერთს, ყველაფერი შეეძლოთ. ადამიანმა შეიძლება სხვადასხვა რამეს მიაწეროს ყოვლისშემძლეობა. ურწმუნო ადამიანი ფიქრობს, რომ კაცს ღვთის გარეშე, მხოლოდ საკუთარი

F-6427

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანური ძალით შეუძლია არსებობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ადამიანი, საკუთარი თავი ჰყავს გაკერპებული. ასეთ ადამიანს ამპარტავანი ეწოდება. ამპარტავნება კი ყველაზე დიდი ცოდვაა.



მესამე მცნება - **„არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოს ზედა“** - გვიკრძალავს ღვთის სახელის ამაო ესე იგი ტყუილუბრალოდ, უდიერად, უსიყვარულოდ ხსენებას: ურწმუნო ადამიანებმა ღმერთზე შეიძლება ისაუბრონ სხვათაშორის, ისევე, როგორც ყოველდღიურ ამბებზე. შეიძლება გაიგონოთ ანეგდოტები ღმერთის შესახებ. იცოდეთ, ეს მძიმე ცოდვაა.

მეოთხე მცნება: **„მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე - შაბათი - არს უფლისა ღვთისა შენისა“.**

მას შემდეგ, რაც ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო და ადამიანი, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა, დრო დაყოფილია შვიდდღიან კვირებად. ექვსი დღე ადამიანს შეუძლია თავისთვის იშრომოს, მეშვიდე დღე კი ღმერთთან ურთიერთობას უნდა დაუთმოს. ადრე, ქრისტემდე, ასეთ დღედ შაბათი ითვლებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ქრისტე მკვდრეთით აღდგა (აღდგომა კი მოხდა კვირადღეს), საუფლო დღედ იქცა კვირა. კვირადღეს ყოველი ქრისტიანი ესწრება ღვთისმსახურებას. ვისაც სურს ღმერთთან შეხვედრა, ის აუცილებლად მიდის ტაძარში ღვთის მსახურებაში მონაწილეობის მისაღებად. გარდა კვირადღისა, ეკლესიაში დაწესებულია მრავალი დღესასწაული, რომლებიც ეკლესიის ყველა წევრმა იცის და ერთად აღნიშნავს მას.

მეხუთე მცნება - **„პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა“** - გვასწავლის მშობლების პატივისცემას. მშობლები რომ უნდა გვიყვარდეს და დავუჯეროთ მათ სიტყვას, ამას ბევრი ახსნა-განმარტება არც სჭირდება. ეს მცნება ასევე გვასწავლის ყველა უფროსის პატივისცემასაც.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მეექვსე მცნება - **„არა კაც-ჰკლა“** - მას არ ეხება, რადგან ადამიანი არ მოუკლავს. სინამდვილეში მკვლელობა არის ბოლო საფეხური ისეთი ცოდვებისა, როგორიც არის სხვა ადამიანის უსიყვარულობა, განრისხება და ბოლოს, სიძულვილი. ყოველი ადამიანი არის ღვთის ქმნილება, ღმერთის შვილი, ამიტომ მისდამი ყოველგვარი უპატივცემლო დამოკიდებულება, უხეში სიტყვის თქმაც კი, ამ მცნების დარღვევაა.

მეშვიდე მცნებაა **„არა იმრუშო“.** ღმერთმა ადამიანი შექმნა კაცად და ქალად, ერთად ცხოვრებისათვის. ამიტომ ყველა კაცმა უნდა ირჩევდეს ერთ ცოლს, ქალი კი - ერთ ქმარს. ისინი ჯვრისწერისას ღვთის წინაშე დებენ აღთქმას, ანუ პირობას, ფიცს, რომ მთელი ცხოვრება ერთად იცხოვრებენ, გაზრდიან შვილებს, დაეხმარებიან ერთმანეთს და ეყვარებათ ერთმანეთი. მეშვიდე მცნება სწორედ ამ ფიცის გატეხვას კრძალავს.

მერვე მცნების თანახმად - **„არა იპარო“** - არ უნდა მივითვისოთ სხვისი ნივთები და ქონება; სხვისი აზრები არ უნდა გავასაღოთ თავისად, სხვას ტყუილუბრალოდ არ უნდა დავაკარგვინოთ დრო... ამ მცნების დარღვევაა ასევე სიზარმაცე, რადგან ჩვენ საკუთარსავე თავს ვაკლებთ იმას, რისი მოპოვებაც სწავლითა და მუშაობით შეგვეძლო.

მეცხრე მცნება გვასწავლის: **„არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.** იგი ყოველგვარ სიცრუეს კრძალავს. ადამიანი პასუხს აგებს არა მხოლოდ თავის საქმეებზე, არამედ თითოეულ სიტყვაზეც - ჭორაობა, სხვისთვის რაიმეს გადაბრალება, ერთი ეხედვით უწყინარი ტყუილიც კი ცოდვად ითვლება. სიცრუე ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს არ ეკადრება. ყოველგვარი ტყუილი ღმერთს გვაშორებს და ბოროტ სულს გვამსგავსებს.

მეათე მცნება - **„არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა“** - გვასწავლის, რომ არ უნდა შეგვშურდეს სხვისი. ყველა ადამიანს ღვთისგან ის ეძლევა, რაც მისივე სულისათვის უკეთესია. შესაძლოა ვინმეს სიმდიდრის მოპოვების უნარი სიხარბეში გადაეზარდოს, ვიღაცას კი სილამაზე ამპარტავნების მიზეზად ექცეს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელი და შეუცვლელია. ყველას აქვს რაღაც ისეთი ნიჭი ან თვისება, რაც მას სხვებისაგან გამოარჩევს.

შური აპირისპირებს ადამიანებს და მტრობას ბადებს. ჩვენ კი ერთმანეთში კარგი თვისებები უნდა აღმოვაჩინოთ და ვეცადოთ შევიყვაროთ ადამიანები.

როდესაც იესო ქრისტეს ჰკითხეს, რომელი მცნებაა ყველაზე მთავარიო, მან უპასუხა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“. ეს არის დიდი და პირველი მცნება. და მეორე, მსგავსი ამისი: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

ამგვარად მცნებები გვასწავლიან ღვთისა და ადამიანის სიყვარულს. ღმერთი შეგვეწიოს ამ საქმეში! **ამინ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ანზორ აბულაშვილი

## სიმღერა

თუმცა დღეს რა მემღერება,
მაგრამ მე მაინც ვმღერი.
მუმლივით შემოგვესია
გალაღებული მტერი.
არც ერთმანეთი დავინდეთ,
დაგვექცა სახლის ჭერი,
საიდან აღარ გვცხრილავდა
ავტომატების ჯერი.
ვინ თქვას ობლობის ნაღველი –
ცრემლგამშრალ გლოვის ფერი...
დაცარიელდა ბეღელი,
ამოიხაჰა ქვევრი...
მაგრამ შეხედეთ –
შკვე დგას
ერთად ერი და ბერი.
გაიფანტება ღრუბელი,
გაიკაფება ტევრი;
დაიწმინდება ლიახვი,
გუმისთვის მღვრიე ჩქერი.
ნახავთ, თუ არ გამოცხვება
ერთხელაც ობლის კვერი.
აგუგუნდება სიმღერა
სულ სხვანაირად მჟღერი.
ყორნის სამიმგნი გახდება
დამარცხებული მტერი.
ჰოდა, მეც ახლა ამიტომ
გავთალე ლერწმის ღერი
და თუმცა ჯავრით სავსე ვარ,
მაინც იმედით ვმღერი.

ვანო ჩხიკვაძე

## ფიფქი და ვანიკო

ფიფქი მღერის ჩვენს სარკმელთან,
ვანიკოსთვის მღერის:
„მალე მოვა თოვლის ჰაჰა
თოვლის თეთრი წვერით.

მოაგელვებს თოვლის რაშებს
ჩვენს ქალაქში როცა,
ამ ახალ წელს სულ პირველად
ჯერ შენ მოგილოცავს“.

ფიფქი მღერის, ჩვენს სარკმელთან
ერთი ფიფქი ანცობს:
„შენს ქვეყანას გაეზარდე,
ჰაწაწინა კაცო“.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ქეთევან ჭილაშვილი

მხატვარი ედუარდ ამზოკაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოციქულები

კუდიღილას ჩირგვში ტელეფონი აწკრიალ-და.

- გისმენთ! - სტაფილოს ხრამუნით დაიძახა კუდიღილამ.

- დილა მშვიდობისა, კუდიღილავ!

- მშვიდობა ნუ მოგშლოდეს! როგორ ბრძან-დებით?

- გმადლობთ, თავად როგორ გიკითხო, დე-დას და ბებოს ხომ აღარ ეურჩები?

- ურჩობა რა საკადრისია! ჭკუა ვისწავლე, თქვენი კეთილი ნება, თორემ მელაკუდას გა-დავურჩებოდი?

-ჩემო კუდიღილავ, ვაითუ ტელეფონი გაგ-ვეთიშოს, ამიტომ ახლავე გამცნობ, რომ მინ-და კვირას ჩემი ზღაპრების გმირები მეწვიოთ. მომენატრა თქვენთან საუბარი, თქვენი ხილ-ვა. გადაეცი ჩემი სურვილი ყველას, ვისთა-ნაც კი ხმა მიგიწვდება. აბა, გელოდებით!

- გმადლობთ, სიამოვნებით გეწვევით...

და აი, გუშინ დილაადრიან მობრძანდნენ ჩემი სტუმრები...

- ძილი ხომ არ დაგიფრთხეთ? გულმა ვე-ღარ გაგვიძლო, უთენია გამოვუდექით გზას...

მივესიყვარულეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი და ბუხარს მივუსხედით... ვთქვით ამ მთისა, იმ მთისა და ბოლოს შევეკითხე:

- ჩემო ძვირფასებო, მიამბეთ ერთი როგორ გაართვით თავი იმ მოვალეობას, რაც თითო-ეულ თქვენგანს დავაკისრე?

- ისე გავართვით, თქვენი მოწონებული! - პასუხი არავის დააცადა კუდიღილამ. მერე სათითაოდ გადახედა ყველას, ხომ მართალს ვამბობო?

- დასტური გვითქვამს, - ჩაიდუდუნა დათ-ვმა.

- კიდევაც ჩვენი სათქმელი მოახსენე! - თათზე თათი დაჰკრა მელაკუდამ. ტურამ თა-ვი მდაბლად დაიღო...

ციყვმა ტუჩები ააცმაცუნა...

- მაგალითად?

მაგალითები? რამდენიც გნებავთ, - კუდი-ღილამ ფოთლების წიგნურა ააშრიალა და სათვალე მოიმარჯვა.

- კუდიღილავ, სათვალე? - შევწუხდი.

- ცოტა არ იყოს, ვიელმებ თვალებს, ჩემ-გან რა გესწავლებათ, ყურთასმენით ჩვენი მოდგმა ცნობილია, მაგრამ მხედველობისა რა მოგახსენოთ... კუნა ექიმმა მირჩია, ერთხანს ატარეო...

- აი, შენც გაქრი და შენი ცქვიტა ყურე-ბიც, - ჩიხითხითა ციყვმა, - ღილა კუდიც ხომ მოდგმითა გაქვს ბოძებული, მაშ, რად ატყდი მეც მინდა გრძელი კუდიო, ჩემი ჯიბრითა არა?! ხი, ხი, ხი!

- ეი, ბენტერ, ისევ შენსას გაიძახი? კუდ-გრძელა და ჭკუამოკლევ! ულვაშები აებურ-ძგლა კუდიღილას. დათუნიამ ისე დააჭირა ციყვს კუდზე ტორი, რომ ციყვი ტკივილისა-გან დაიმანჭა: -გახსოვდეს, „ათასად კაცი და-ფასდა, ათიათასად ზრდილობა!“ - ეს შეგონე-ბა ყველა სულიერისათვის შესაცნობია!

მსმენელნი გაინაბნენ, კუდიღილამ თავი დაუქნია და განაგრძო: დიახ, იმას მოგახსე-ნებდით... ერთმა ბებომ თავის შვილიშვილს ჩემი ზღაპარი უამბო. ცნობისმოყვარეობა მო-მეძალა, ნეტავ, რას იტყვის ჩემზე ეს ტასნა-კა გოგო-მეთქი? გაკიცხვას მოველოდი, იმან კი-მეც მინდა წინდის კუდიო. მინდაო, მინდაო - აიხირა ჩემსავით. შევკრთი, ჩემი გულისათ-ვის ეს კოპწია გოგო არ მისტყიპონ-მეთქი. იმან კი, ცალ ფეხზე წინდა გაიძრო, საკუდეს-თან მიიტანა და გააქნ-გამოაქნია - ბებო, მი-ყურე, რა კარგი კუდი გამოვიბიო. ჰერიჰა, ახ-ლა კი რისხვას ვერ გადავურჩები-მეთქი, - მაგრამ ბებო გულიანად იცინოდა. ალერსით ჩურჩულებდა ჩემი „არტისტკა“ გოგოო...

სამაგიეროდ, ერთმა ბიჭუნამ თავის ნახატ-ში ჩემსა და მელაკუდას შორის ვეება მთა დახატა და მიაწერა „აბა, თუ ბიჭი ხარ დაი-ჭირეო!“ გული ამიჩუყდა. ხომ არის ეს სიკე-





თის წადილი? ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს... ნათლი, ახლა შენი ჯერია, მოიგონე რამე...

- რა უნდა ვთქვა, პირშერცხვენილი ვარ. ვინ მომიწონებდა დათუნას გაწბილებას. მუცელი ჰგვრემდა, მე კი წამალი არ მივუტანე. ბავშვები პირში მაგონებდნენ - შე მატყუარაო, შე არხეინაო... ჰო, თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ის კი მიკვირს, რომ დათვი არავინ გაკიცხა, განა იმან კარგი ჩაიდინა, ლხინიდან სწორედ იმ დროს გამომაპანჩურა, როცა ქათამს კბილი გავკარი? უფრო არ დავირცხვენდი, თუ არაფერს მაგრძნობინებდა და ჩემს ბოროტებას თავის სიკეთით აჯობებდა!?

- გაბრაზებულ გულზე მოვიმოქმედე, მერე ხომ ვინანე, ხომ შევრიგდით! -თათი მხარზე დაჰკრა დათუნამ.

- შევრიგდით რომელია! ამის ბელები ჩემს კალთაში დაიზარდნენ, ლუკმას ვუყოფთ ერთმანეთს. იქნებ, ღირს ამაზე ახალი ზღაპარი... თვალი გამიშტერა მელაკუდამ.

- იმაზე რატომღა არაფერს ამბობ, მე და ტურა საშვილიშვილოდ რომ გადაგვკიდე!? - ჩაიკისკისა კვლავ ციყვმა და თავისი ფუმფულა კუდით მარაოსავით დაუნიავა დათუნას.

- ეგ რაღა მოსაგონებელი იყო! - ხელი ლოყაზე შემოიკრა ტურამ, ეგ საბრალო სამი ზამთარი გადახვეწილი იყო, თვალს ველარ გვისწორებდა, საყვედური აღარ უნდა გამოულიო?

მელაკუდა წამოდგა და ციყვისა და ტურას წინაშე თავი მდაბლად დახარა.

სიჩუმე ჩამოვარდა, კუდიღილამ მელაკუდას თვალი უყო, მოუწონა საქციელი.

დუმილი კაკუნმა დაარღვია. კარი ფისომ შემოაღო.

- ვა, ამას აქ რა უნდა, მე არ მომიპატიჟებია! - ყურები ცქვიტა კუდიღილამ. ფისომ ზედაც არ შეხედა.

- რა მოპატიჟება მინდოდა! ჯადოსნური რადიო გადასცემს ამ შეხვედრას! რა გული გამიძლებდა, არ მოვსულიყავი? ცოტა სიკეთე, ჩემს წილად, მეც შთავაგონე გოგო-ბიჭებს. თუ გიფიქრიათ, რომ პატარებმა ჭამის დროს თამაშობა წამოიწყონ. მე ეს ნატოსა და იმის მეგობარს შთავაგონე, იმათ კი - თანატოლებს! როგორ? როგორ და ... თამაშობით გართულებს ფაფა პირწმინდად მოვულოკე. წუწკი მიწოდეს... (ფისომ ამზერით გადმომხედა) - ეს წუწკობა კი არა, ჭკუისსწავლება იყო...

- მარინეს რომ რძე ამოუსვლიპე, ის ვიღა იყო? შეჰყეფა ფინიამ, რომელიც ისე შემოიპარა, ვერავინ შეამჩნია.

ფისო არ დაიბნა.

- დიასახლიმა რძე თავახდილი არ უნდა დადგას, ნერწყვმა დამახრჩო, ცოტა პირი გავისველე. იმის მერე მიწუწკნია? თქვი, შენ და შენმა ფინიობამ, გაფიცებ...

- ჰამ, ჰამ! არა, არა! - ნაზად შეჰყეფა ფინიამ და მერე მიესალმა სტუმრებს.

- სუფრასთან! - მოუწოდა მასპირძელმა სტუმრებს. რაღა არ ეწყო მაგიდაზე - სტაფილო, თაფლი, თევზი, ქათამი, კაკალი, თხილი... ატყდა ხრამუნ-ხრამუნი, პირის წკლაპუნი, თხილის კნაწაკნუწი...

ტელეფონი აწკრიალდა... ყურმილიდან გაისმა ხმა.

„სალამი მეგობრებო, ჯადოსნური რადიოთი ვისმენ თქვენს საუბარს, აბა, რაღას მოგისწრებთ, ამიტომ მინდა ჩემი ხმაც მოგაწვდინოთ.

მეც და ჩემმა პატარა მეგობრებმაც ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნეთ, რომ შური და ტრაბახი აკნინებს სულდგმულს. გახსოვთ, ალბათ, ბულბულთან გატოლება მოვინდომე, გამოუცდელობით მომივიდა. მოხიბლული ვარ ბულბულის სულგრძელობით, ღმერთმა ნუ მოგვაკლოს მისი გალობა! „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“. ნუ მიწყენთ, თუ დრო და დრო ავყიყინდები, ეს ბუნების ნებაა, ყველა უნდა დავემორჩილოთ ამ ძალას... მრავალჟამიერ... თქვენი ყიყინა.“

სუფრა გამხიარულდა. ყველამ ერთად ასწია ნექტარით სავსე ყვავილების ჯამფიალები და ბავშვების თამადობით დალოცეს დედაბუნების საბრძანებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო
მრელაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბავშვებს

როცა ჩიტების ჭიკჭიკი
ცაზე აზიდავს მნათობს,
მაშინ იღვიძებს ნესტანი,
მაშინ ადგება დათოც.
დამისხდებიან მუხლებზე,
მომახუტებენ სახეს,
ანდა საბანქვეშ მვრებიან,
თუ დაწოლილი მნახეს.
- შენ ჩვენო ტკბილო პაპიკო,
- შენ ჩვენო კარგო პაპავ...
ათასჯერ მაყოლინებენ
ნაცარქექიას ზღაპარს,
მაყოლინებენ, ფისუნამ
როგორ შეიპყრო თაგვი,
როგორ იშოვა წლის სარჩო,
რა წვალებით და დაგვით.
ან ნესტანს როგორ აჩუქა
სიზმრად ფერიამ კაბა,
ან დათო როგორ მიუხტა
დევებს, და ორად კაფა,
როგორ მოსტაცა მეზობელს
ცხენდაცხენ კოხტა გოგო,
უდაბურ ტყეში აგებულ
კოშკში დამალა როგორ...
მთელ დღეს რომ მალაპარაკონ
არ შეემჩნევათ დაღლა,
რასაც მე იმათ ვუყვები,
თქვენც მოგიყვებით ახლა:

## ფერიას საჩუქარი

ერთხელ ბავშვებთან შევედი -
რიჟრაჟი იყო დილის,
ნესტანი თავის ლოგინზე
წამომჯდარა და ტირის.
- რა იყო, ჩემო გოგონი,
რამ აგატირა ნეტავ? -
აგიწეწია ზეწარი,
ახლა საბანსა სწეწავ.
- იმიტომ ვტირი, პაპიკო,
იმიტომ ვწეწავ საბანს, -
სიზმრად ფერიამ მაჩუქა
ძლიერ ლამაზი კაბა.
ზედ რაღა აღარ ეხატა:
ვარდი, მარწყვი თუ ქოლო,
საყელოს ირგვლივ იები,
ენძელა კაბის ბოლოს.
ლოგინი მისთვის მოვჭმუჭნე,
საბანიც მისთვის ვწეწე, -
წუხელ ვიღაცამ მომპარა,
ახლა იმ კაბას ვეძებ.



## დათოს ომი დევებთან

დათო, დათო, დათუნაო,
რა ქმაკმა გაცდუნაო
დევები დაგიხოცნია, -
მკვდარი მკვდარზე გაბმულაო.
სამართალში უჩივლიათ, -
საქმე მეტად გართულდაო, -
არ იცი, -დევის მოკვლაზე
ნება ჯერ არ დართულაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფისოს კაკანათი

აქ ხუთი და სხვაგან ათი
თაგვს დავუგე კაკანათი,
ბუდა თაგვი გაბმულიყო,
უმალ ბეჭზე გავკარ თათი.
ერთი იმანაც შემომკრა -
ხმა ჩავიდა ქალაქამდი,
ეს რა მიყო ამ თაგუნამ, -
ნუთუ ეგრე დავგლახავდი?
წამოვუხტი, დავეტაკე
სასიკვდილოდ დანაქადი, -
მთა და ბარი ირყეოდა
ჩვენი დავიდარაბათი.

იმდენი ხანი ვიომეთ,
გაგვეცალა არაქათი,
გაგიხარია, გავმეხი
იმის დაბდღვნა-დანაყვათი.
ხორცი სამი დღე ვეზიდე
გოდრითა თუ კალათითა, -
ეგრე ერთბაშად ავივსე
დოვლათით და ბარაქითა.



## ქეთევანი

როგორ მოხველ, ქეთევანო,
ქვეყნის ასე დამამშვენი,
ეგრე როგორ გაახარე
დედაშენი, მამაშენი.
მერცხალმა ხომ არ გაჩუქა
ეგ ჭიკჭიკა ენა-პირი,
ან თვალები მოციმციმე
ცისკრისაა შენაწირი?
მზეც კი ტირის, თუ ლოყები
ცრემლებით გაქვს დაკვალული,
თუ იცინი - კაცს ჰგონია
მოკისკისებს ნაკადული.
შენი ყველა ნაფეხური
ისე ია-ვარდიანობს,
თითქოს თვითონ ფეხადგმული
ყვავილები დადიანო.
გაეზარდე საქართველოს
ქვეყნის გული, ქვეყნის ფასი,
ოღონდ ბედი აგცდენოდეს
შენი დიდი სეხნიასი.



## დათოს მუქარა

იყალთოელი ბიჭი ვარ,
თვალი მიჭირავს შენზედა,
ერთ ტაფა კარტოფილსა ვჭამ,
ორ-ორ ჯამ ფაფას ჯერზედა.
ზოგჯერ წვიმაში დავრბივარ,
ზოგჯერ ვშავდები მზეზედა,
ისეთი ღონიერი ვარ,
თხილ-კაკალს ვამტვრევ ქვებზედა,
ხმალსა ვთხოვ ლადო პაპასა,
კარგად შემაბას წელზედა,
ცხენი მაჩუქოს ისეთი,
ქარს რომ გაასწრებს ველზედა.
ეზოსკენ ჩამოგიქროლებ,
წინ შემოგისვამ ცხენზედა,
წაგიყვან, კოშკში დაგმალავ, -
სადმე, მიუვალ კლდეზედა,
მერე თქვენებმა ეძებონ
ბიჭი, ვაჟკაცი ჩემზედა.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ოტია იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაშვი და ბულბული

მწვანე, ცხრათვალა გაზაფხული იდგა. თბილი ქვეყნებიდან ბულბული დაბრუნდა. ვარდის ბუჩქზე ჩამოჯდა და გალობა უნდა დაეწყო, რომ შაშვის სიმღერა მოესმა და გაჯავრდა:

- გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, ვერ ხვდები, რომ ხელს მიშლი?

შაშვს ეწყინა, მაგრამ იფიქრა, ბულბულთან ხმა როგორ ამომეღებაო, და, დუმილი არჩია.

არაკრაკდა მგოსანი. ტყესა და ველს ისეთი ჰანგები მოჰფინა, ბალახიც კი ცრემლად დაიღვარა.



სად იყო და სად არა, ვეება მუხის კენწეროზე ყვავი შემოჯდა და გააბა და გააბა ყრანტალი, მთლად გააყრუა არემარე.

შაშვი შეშფოთდა, ბულბულმა ჩემი სიმღერა ვერ აიტანა, ამ ჩხავილზე მთლად ჭკუაზე შეიშლებაო. მაგრამ მგოსანს აინუნშიაც არ ჩაუგდია ყვანჩალას ყრანტალი, ისე შეუფერხებლად ჩაარაკრაკა თავისი შეუდარებელი საგალობელი.

მოხიბლულმა შაშვმა, რა თქმა უნდა, გაუბედავად ჰკითხა:

- დიდო მომღერალო, საწყენად კი არ გეუბნები, მაგრამ ამიხსენი, ჩემი მოკრძალებული გალობა ხელს გიშლიდა და გამაჩუმე, იმ ყვავის გულის ამრევი ჩხავილისათვის კი ყურიც არ გითხოვებია.

- ეჰ, ჩემო დობილო, როცა შენი გალობა მესმოდა, მართლაც ხელს მიშლიდა. სხვა ხმა კი, ღმერთი გამიწყრეს, თუ გამეგონოსო.

მხატვარი ანა მგალობლიშვილი

ლალი ჯაფარაშვილი

# ზღაპრული სამყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

შემობრძანდა
ჯადოქარი,
კლიტ-კლუტ, - გახსნა
სიზმრის კარი,
ფერად სიზმრებს
დაურიგებს,
ვინც დამჯერე
ბავშვი არი...



***

წუხელ, შუადღისას,
ასე ორის ოცზე,
შავი შაშვი დასკუპდა
მწიფე ანწლის ტოტზე,
ანწლი თეთრად ჭყვაოდა,
შავი შაშვი ჩხაოდა...
ანწლის ძირში
დათვი იწვა
და ჩიჩქნიდა
ეშვით მიწას,
ჩამოეშვა თოვლის ფარდა,
ცისარტყელა აელვარდა,
დათვმა ფრთები აიკეცა
და შეჭყეფა მაღლა ზეცას,
იქვე იდგა
იფნის ხე და
ხეზე იხვი
ჭიკჭიკებდა.



***

თვლა ისწავლა დათუნამ,
რა თქმა უნდა, ქართულად;
ერთი, ორი, სამი,
სკამზე შევდგი სკამი,
ოთხი, ხუთი, ექვსი,
სკამზე ფისო შევსვი,
ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა,
ფისოს, მგონი, დასცხა,
ცხრის მერეა ათი,
- ფისო, მომეც თათი.
ათი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი,
- აჰა, ფისო, წყალი შესვი,
ხუთი, ოთხი, სამი და -
ჩამოსკუპდი სკამიდან,
სამი, ორი, ერთი,
ფისო მიზის ფერხთით,
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ჩემსკენ გიო მოდის ფორთხვით,
ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი,
გავუგორე გიოს ბურთი,
ოთხი, სამი, ორი, ერთი
გიოც უკვე მიზის ფერხთით,
ახლა ჩვენ ვართ სამნი და
თვლას დავიწყებ თავიდან.



მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეტრეველი

## მამულს დაუდგეს დარაჯად

მხოლოდ ერთს ვნატრობ,
ერთი მაქვს
საოცნებო და სათქმელი:
დიდი რუსთველი რომ იყო,
ვიყო ისეთი ქართველი...
მღვდელი თევდორე რომ იყო,
ვიყო ისეთი ქართველი...
ბიჭი ჭაატა რომ იყო,
ვიყო ისეთი ქართველი...
დიდი ილია რომ იყო,
ვიყო ისეთი ქართველი...
ჩემი კაცობით მოვფინო
დედა სამშობლოს ნათელი!






ანდრო ბიბილური

## გიას ციგა

გიამ ციგა გააკეთა,
რად უნდოდა იმოდენა,
გეგონებათ ურემია,
თვით კი არის ცეროდენა.





დავით ხუროძე

## დალაქი და ზღარბუნა

ჩინებული დალაქია
მაიმუნი კრეჭია,
მუშტარი არ დაელევა,
ვინ არ გაუკრეჭია.
ლომს ფაფარი შეუსწორა,
ულვაშები - მელიას,
რიგში დგანან ფოცხვერები,
გული გადაელიათ...
ვერაფერი მოუხერხა,
აქეთ-იქით აბრუნა,
მაკრატელი დაუმტვრია,
ვერ გაჭარსა ზღარბუნა...

ოთარ კავკასიძე

## გიგას ლექსი

მამამ ცუგა მოგიყვანა,
ეთამაშე, ბიჭო გიგა;
უყვარს სათამაშოები,
ტანის ბანა აგრერიგად.
დაუყვავე, ნუ დააბამ,
ჭატარაა, ერთი ციდა,
როცა დიდი გაიზრდება,
გიმეგობრებს, ბიჭო გიგა.





ყარაბას-ბარაბასისაგან გაქცეული ბურატინო, მალვინა და პიერო ტბის ნაპირას გავიდნენ. მალვინა და პიერო კუს შემოასხდნენ (ბურატინოს ადგილი აღარ ეყო), ბურატინომ კი წყალში შეცურა.

ბურატინოს შეუძლია 30 წუთში გადაცუროს ტბა; კუს, თავის ტვირთიანად კი - სამჯერ უფრო სწრაფად. ყარაბას-ბარაბასი გაიქცა, რომ ტბისთვის გარს შემოევლო. ამ გზის გასასვლელად მას 30 წუთი დასჭირდება. ტბის გადაცურვის შემდეგ ბურატინოს და მის მეგობრებს მამილო კარლოსთან მისასვლელად 18 წუთი სჭირდებათ. ყარაბასი ორჯერ უფრო სწრაფად დარბის. როგორ უნდა მოახერხონ ბურატინომ და მისმა მეგობრებმა გაასწრონ ყარაბას-ბარაბასს და მამილო კარლოსთან შეაფარონ თავი?



ნოდარ მაჭარაშვილი





რედაქციისაგან:

## ძვირფასო ბავშვებო!

იმის გარდა, რომ ეს ამოცანა ამოხსნათ, დამატებითი საზრუნავიც გაგიჩინეთ - თუ როგორ მოასწროთ თქვენს თანატოლებს რედაქციაში!

აქ კი გამარჯვებულს, ჩინებული საჩუქარი ელის - გოგონას - ცისფერთვალება თოჯინა სუსანა, ბიჭუნას - ბურატინო.

წარმატებას გისურვებთ!

მხატვარი ნანა იოსელიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაძვის ხე

მუსიკა მერი დავითაშვილის   ტექსტი ცირა ქიტიაშვილის



მოციმციმე ნათურები,
შეხე, მძივად აგისხეს,
ათასფერად მობრდღვიალე
საახალწლო ნაძვის ხეს.

ტაში, ტაში, ვაშა, ვაშა
შემოგხარით დღეს,
ყველაზე მაღალს, ყველაზე ლამაზს
საახალწლო ნაძვის ხეს.

როგორ გშვენის თეთრი ფიფქი,
ტოტზე ოქროს გირჩები,
გარს გივლიან ბედნიერი
გოგონები, ბიჭები.



გაკვეთილი მიჰყავს მარინა ქარცივაძეს

# მუსიკის გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა













თქვენ უკვე იცით, რომ მუსიკალური ბგერები ასოების მსგავსი ნიშნების - ნოტების საშუალებით იწერება სანოტო ხაზებზე. ბგერები სხვადასხვა სიმაღლისაა. მათ ჩასაწერად კი სულ ხუთი ხაზი გვაქვს. მართალია, დამატებით ხაზებსაც ვხმარობთ, მაგრამ ყველა ნოტის ჩასაწერად იმდენი დამატებითი ხაზი დაგვჭირდებოდა, რომ ნოტების წაკითხვა ძალიან გაგვიჭირდებოდა. მაშ როგორღა დავატიოთ ამდენი ნოტი სანოტო ხაზებზე? აი, სწორედ ამაში გვეხმარება მუსიკალური გასაღები.










## რა არის გასაღები?



ეს ვიოლინოს გასაღებია. იგი გვიჩვენებს, რომ მეორე ხაზზე იწერება პირველი ოქტავის ნოტი - სოლ.

ეს კი ბანის გასაღებია, იგი გვიჩვენებს, რომ მეოთხე ხაზზე იწერება პატარა ოქტავის ნოტი - ფა.

დახედეთ პიანინოს კლავიატურას და ჩვენი ნახატის დახმარებით იპოვეთ პირველი ოქტავის დო. სწორედ ეს დო ყოფს პირობითად კლავიატურას ვიოლინოს და ბანის გასაღებზე.













I ოქტავის დო-ს მარჯვნივ განლაგებული ბგერების ჩასაწერად იხმარება ვიოლინოს გასაღები.

I ოქტავის დო-ს მარცხნივ განლაგებული ბგერების ჩასაწერად კი ბანის გასაღები იხმარება.









მხატვარი ნანა იოსელიანი




# დათუნია ბაჯბაჯა

ლუარა გორდიევიჩი

ზღაპრებში ცხოველების შესახებ ზოგი მოქმედი გმირი ვერაგი და დაუნდობელია, ზოგი - ცბიერი და მატყუარა, ზოგი მფრთხალი; ზოგიც დინჯი და მშვიდობის მოყვარეა და მზაკვრობა არ შეუძლია. სწორედ ასეთია ბაჯბაჯა დათვი, რომლის მოუხერხებლობაზე და მიუხვედრელობაზე შეიძლება, ბევრი ვიცინოთ. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით არის ის მოუხერხებელი და მიუხვედრელი. ტყის ცხოველებიდან დათვი ყველაზე დიდი, ძლიერი და საშიშია. სწრაფად ადის ხეზე. შესანიშნავად ცურავს, იოლად მირბის კლდეზე და, მხოლოდ სწრაფად მორბენალ ირემს, შველსა და არჩვს თუ შეუძლიათ დაუსხლტდნენ მის ბრჭყალებს. ასე რომ თითქოსდა მოუხეშავი და ტლანქი დათვები, როცა სჭირდებათ, საკმაო სიმარჯვესა და სიმკვირცხლეს იჩენენ და უზარმაზარი ნახტომის გაკეთებაც შეუძლიათ.



უფრო საშიში იქნებოდა დათვი, ეშმაკი და მატყუარა რომ იყოს. ტყის ეს გოლიათი ბინადარი რაინდული ბუნებისაა, აუღელვებელი, ჩუმი და პირქუში, უყვარს განმარტოება, იშვიათად ღმუის, მაშინაც კი - როცა დაჭრილია. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მისი განრისხება, წონასწორობიდან თუ გამოიყვანს ვინმე, და რაკი მზაკვრობა მისთვის უცხოა, იგი მიმართავს ძალას.

ჩვეულებრივ, ადამიანთან შეხვედრისას, დათვი ყურადღებას არ აქცევს მას და ცდილობს გაეცალოს. მისი ასეთი მშვიდობისმოყვარეობის მიზეზი მისი კვების თავისებურებაა. დათვი ყველაფრის მჭამელია. მაგრამ თუ საკმაოდ აქვს მცენარეული საკვები: ხილი, კენკრა, წაბლი, სოკო, შვინდი, ხის ფესვები - სხვა საკვებს არ ეძებს; ისე კი გიახლებათ მწერებს, თევზებს, ფრინველებს და, რა თქმა უნდა, ხორცსაც; თუ მშიერია, შეიძლება თავს დაესხას მსხვერპლს, რის გამოც იგი მტაცებლებს მიეკუთვნება. ყოფილა შემთხვევა, რომ დათვს ტყეში ადამიანისათვის წაურთმევია სოკოთი და კენკრით სავსე კალათა, და მის ჭამას შესდგომია, შიშისაგან გულგახეთქილი ადამიანისათვის კი ყურადღებაც არ მიუქცევია. საერთოდ დათვი გაურბის ადამიანთან შეხვედრას. ყველაფერზე მეტად დათვს თაფლი უყვარს და მის მოსაპოვებლად ფუტკრის მწარე ნესტარსაც არ ეპუება, მზად არის ტკივილი აიტანოს, ოღონდ ყელი ჩაიკოკლოზინოს. მაგრამ საკმარისია





დათვმა ხორცი იგემოს, რომ გულკეთილი და უწყინარი ხასიათი ეცვლება და სისხლისმსმელი ხდება.

დათვები ცხოვრობენ მთელს ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, აფრიკაში, ცხელ ქვეყნებშიც და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზეც, და ბარად თუ მაღალმთიან ადგილებში. ბინადრობენ გამოქვაბულებში, ბუნაგებში, ფუღუროებში.

არსებობს დათვის სხვადასხვა სახეობა. ყველაზე გავრცელებულია წაბლისფერი-მურა დათვი. მის ნათესავად ითვლება ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული ვერცხლისფერი გრიზლი, მურა დათვზე უფრო ძლიერი, დიდი და მრისხანე ცხოველი. ყველაზე ღონიერი დათვებს შორის არის „პოლარული ქვეყნების მეფედ“ წოდებული თეთრი, ანუ პოლარული დათვი, რომელიც დედამიწის ყველაზე ძლიერ მტაცებლებს მიეკუთვნება.

დათვებს აქვთ სქელი და მოკლე კისერი, ოვალური ფორმის თავი, მოკლე ყურები, შედარებით პატარა თვალები, ბლაგვი brჭყალები, 36-40 კბილი; სხეული დაფარული აქვთ გრძელი, ძვირფასი ბეწვით, რის გამოც კიდევ უფრო დიდები ჩანან, ვიდრე სინამდვილეში არიან. დათვის სიგრძე საშუალოდ 2 -დან 3 მეტრამდეა, სიმაღლე 1 მეტრი და 40 სმ -დან 1 მეტრსა და 80 სანტიმეტრამდე, წონა 500-600 კგ. ცოცხლობენ ოც წლამდე. დათვებს ყველაზე უკეთ ყნოსვა აქვთ განვითარებული, ცუდი სმენა და ძალიან სუსტი მხედველობა აქვთ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ზაფხული და შემოდგომა დათვი ტყე-ტყე დაეხეტება, ზამთრისთვის კი ბუნაგს იმზადებს, მთელ ზამთარს ძილში და თვლემაში ატარებს. ის საკუთარი ქონის მარაგით იკვებება. შუა ზამთარში მდედრს ბუნაგში ორი-სამი ბელი უჩნდება. დედა თვალსიჩინივით უფრთხილდება მათ. ახალშობილები 500-600 გრამს იწონიან. იკვებებიან დედის რძით. პატარები ძალიან ონავრები და სასაცილონი არიან. მხოლოდ ექვსი წლის ასაკში აღწევენ ისინი სრულყოფილებას.

ადრეულ ასაკში დათვი იოლად ეჩვევა ადამიანს და ამიტომ მისი მოთვინიერებაც შედარებით ადვილია. მაგრამ მისი კეთილი და აუღელვებელი ხასიათის მიუხედავად სიფრთხილეა საჭირო. არ შეიძლება ბოლომდე ვენდოთ მას. თუმცა ზოგჯერ ასეც ხდება, დათვი იმდენად ეჩვევა ადამიანს, თავისუფლებას პატრონთან ყოფნას ამჯობინებს.

ძვირფასია დათვის ბეწვი, მისი ხორცი და ქონი. ამიტომაც ნადირობენ მასზე, მაგრამ რადგან მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება, ნადირობა ნებადართულია მხოლოდ უსიერ ტყეებსა და ნაკლებად დასახლებულ ადგილებში.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანო და ქვევრი

ვანო ახდილი ქვევრის პირთან იდგა და ილანძღებოდა. ქვევრი ცარიელი იყო, ამიტომ ყველა ლანძღვა უკანვე უბრუნდებოდა.

ვანომ დედას შესჩივლა:

— ამ წყეულმა ქვევრმა ლანძღვით ამიკლო. დედამ უპასუხა:

— შენი თავი შენვე გაგილანძღავს:

რაც ჩაგიძახნია ქვევრს იგივე ამოუძახნია.

ი. გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ႥႠႬႭ ႣႠ ႵႥႤႥႰႨ

ႥႠႬႭ ႠႾႣႨႪႨ ႵႥႤႥႰႨႱ ႮႨႰ-ႧႠႬ ႨႣႢႠ ႣႠ ႨႪႠႬႻႶႤႡႭႣႠ. ႵႥႤႥႰႨ ႺႠႰႨႤႪႨ ႨႷႭ, ႠႫႨႲႭႫ ႷႥႤႪႠ ႪႠႬႻႶႥႠ ႳႩႠႬႥႤ ႳႡႰႳႬႣႤႡႭႣႠ.

ႥႠႬႭႫ ႣႤႣႠႱ ႸႤႱႹႨႥႪႠ:

—ႠႫ ႼႷႤႳႪႫႠ ႵႥႤႥႰႫႠ ႪႠႬ-ႻႶႥႨႧ ႠႫႨႩႪႭ. ႣႤႣႠႫ ႳႮႠႱႳႾႠ:

—ႸႤႬႨ ႧႠႥႨ ႸႤႬႥႤ ႢႠႢႨႪႠႬ-ႻႶႠႥႱ:

ႰႠႺ ႹႠႢႨႻႠႾႬႨႠ, ႵႥႤႥႰႱ ႨႢႨႥႤ ႠႫႭႳႻႠႾႬႨႠ.

Ⴈ. ႢႭႢႤႡႠႸႥႨႪႨ



მხატვარი ნუგზარ გიგაური

# მხატვრობა და მათემატიკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



კლასში, ხატვის გაკვეთილებზე, ალბათ ხატავთ სახლებს, ხეებს, ჩიტებს, მთებსა და მდინარეებს, მზესა და ღრუბლებს, ხატავთ როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, და რაც უფრო მიახლოებულია ნახატი სინამდვილესთან, მით უფრო მაღალ ნიშანს იღებთ ხატვაში.

მხატვარი ბუნების სურათებს - პეიზაჟებს ხატავს ისეთს, როგორადაც აღიქვამს მათ ერთი უძრავი წერტილიდან დაკვირვების დროს. ბუნების სურათის ხატვისას მას ტილოზე გადააქვს როგორც ახლოს მდებარე, ისე ძალიან დაშორებული საგნების გამოსახულებები. უძველესი დროიდან შეამჩნიეს მხატვრებმა, რომ რაც უფრო შორსაა საგანი, მით უფრო პატარა მოჩანს იგი. დიდი ხნის განმავლობაში ისინი ინტუიციურად, ე. ი. ალღოთი იყენებდნენ პერსპექტივის კანონებს (პერსპექტივა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „გარკვევით ვხედავ“).

უძველესი დროიდან მხატვრები პერსპექტივას გამოსახავდნენ ისეთი პარალელური წრფეების მეშვეობით, რომლებიც ჰორიზონტის ხაზზე იკვეთებიან.

პერსპექტივის კანონებს იკვლევდნენ აღორძინების ეპოქის არქიტექტორები, მხატვრები, სწავლულები ლეონარდო და ვინჩი, ალბრეჰტ დიურერი და სხვები. მე-17 საუკუნეში ფრანგი მათემატიკოსი და არქიტექტორი დეზარგი შეეცადა მათემატიკური ახსნა-განმარტება მოეძებნა პერსპექტივის კანონისათვის. აქედან იწყება გეომეტრიის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი. მხატვრობაში არსებობს დარგი „პერსპექტიული ფერწერა“, რომელსაც შეისწავლის პროექციული გეომეტრია.

ეცადეთ, დახატოთ რამდენიმე სახლი ან პეიზაჟი ისე, რომ ნახატიდან ჩანდეს პერსპექტივის უმარტივესი წესების ცოდნა.

**რომანოზ დანელია**

## გახვრეტილი ხელი





აიღე სახატავი ფურცელი, სიგრძეზე დაახვიე და გააკეთე მილი. მარჯვენა ხელით შენი ქაღალდის ჭოგრიტი მარჯვენა თვალზე მიიდე. მარცხენა ხელის თითები შეატყუპე და ჭოგრიტთან მიიტანე ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. ახლა ცალი თვალით ჭოგრიტში გაიჭყიტე, მეორეთი კი შენს ხელს შეხედე.

შენი პატარა, ფუმფულა ხელი

**გ ა ხ ვ რ ე ტ ი ლ ი ა!**

აბა, თუ მიხვდები, რა მოხდა?

**ნანა იოსელიანი**

შოთა ნიშნიანიძე

# ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში თამაშობენ, კარში თამაშობენ,
რა ქნან, თამაშია მთავარი.
სიზმრებში ცხოვრობენ, ზღაპრებში ცხოვრობენ,
ცხოვრებაც ჰგონიათ ზღაპარი.
მხოლოდ ისინია, მხოლოდ ისინია
ჩვენი ხალისი და მიზნები,
ეზოში დარბიან, ხტიან, იცინიან
ჩვენი ახლანდელი სიზმრები.
ფერადი ჩიტები,
ფერადი აფრები,
როგორც სიზმარში და ზღაპარში,
მხოლოდ სიმღერები
და მხოლოდ ზღაპრები
და მხოლოდ თამაში,
თამაში.
დაე, გაიზარდონ,
გაიგონ მთავარი,
გაიგონ რისი ვართ უაბული,
თუმცაღა ცხოვრება არ არის ზღაპარი,
მაგრამ შესაძლოა -
გავხადოთ ზღაპრული.



მხატვარი გია ლაფაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ დაბადების დღეს!



**რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:**

ლექსო და ვანიკო ჩხიკვაძეებს, გიორგი იმნაძეს, გიორგი და ზვიად ხომერიკებს, გუგა გოგიშვილს, სანდრო ჭეიშვილს, გიორგი ლომაძეს, გიორგი ჭეიშვილს, გიორგი ნებულიშვილს, დათო ჭეიშვილს, გიორგი ჯამერაშვილს, ეკა და ნატო კუციებს, ხატია ლეთოდიანს, თემურ ფანჯიკიძეს, მარიამ ბექაურს, თამარ გიგაურს, გეგა ქართველიშვილს, რეზიკო ქარჩხაძეს, მარიკა ბასვიანს, ქეთინო და საბა ქოიავებს, მარიამ კვარაცხელიას.

**მშობლების საყურადღებოდ:**

თუ გსურთ თქვენს პატარას მიულოცოთ დაბადების დღე, დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე. ტელეფონი: 93 10 32

წინა ნომერში ჩვენს მკითხველებს დავპირდით, რომ გამოვაქვეყნებდით „დილის“ ლექსიკონის კონკურსში გამარჯვებული ბავშვების ნაწერებს. ამასთან ჟურნალი საჩუქრებს გადასცემდა გამარჯვებულებს. ახლა გთავაზობთ თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლის V კლასის მოსწავლის **გიორგი ცაგარელის** მოთხრობას, რომელშიც გიორგიმ გამოიყენა „დილის“ ლექსიკონში ჩვენს მიერ მოწვდილი ზოგიერთი სიტყვა, და ტყიბულის რაიონის სოფ. კურსების საშუალო სკოლის მოსწავლის **ეკა გიორგაძის** მიერ ჩვენი ლექსიკონის შესავსებად გამოგზავნილ რამდენიმე საინტერესო სიტყვას.

## ბიჭუნა, რომელსაც უყვარს მუსიკა



მე ვარ ერთი ჩვეულებრივი ათი წლის ბიჭუნა (ასე მეძახის ჩემი მასწავლებელი) და ძალიან მიყვარს მუსიკა (მეცადინეობა არა, უკვე ნასწავლი ნაწარმოები). ათასი რამით ვარ დაინტერესებული და გატაცებული, ყველაფერი მინდა ვიცოდე მაგრამ... ხშირად მიფიქრია, რა ბედნიერი ხალხია ეს დიდები, რამდენი რამე იციან. მე კი ყოველდღე უნდა ვიმეცადინო და ვიმეცადინო. როდის გავიზრდები ნეტავ!

ყოველ დილით ალიონზე უნდა ავდგე, დამადგებიან თავზე, აბა ჩქარაო, გაგვიანდებაო. ამდენი რამე რომ იციან, იმას რატომ ვერ ხვდებიან, რომ ამ ზამთრის სუსხში, ყინვისაგან რომ მაბაბანებს, მეცადინეობა კი არა, ჭამაც მეზარება.

მამა შეშას შეყრის ღუმელში, აგიზგიზდება ცეცხლი და გააქვს გურგური. ამ გურგურში მე ცეცხლის სიმღერა მესმის. ავყვები ხოლმე, გავხალისდები, გავთბები და წამოვხტები. ისე, საიდუმლოდ მინდა გითხრათ, არც მშობლებს უნდა ეხალისებოდეთ დიდად ყოველ დილით ამ სიცივეში სამსახურში სიარული.

მე ჩემი ვიოლინოს მეტი არაფერი მინდა. ქოშინით ავრბივარ ჭავჭავაძის აღმართზე, შევაღებ „ათწლედის“ კარებს და ჩემს ზღაპრულ სამყაროში ვხვდები. ყველა კარს უკან სხვადასხვა ინსტრუმენტის ხმა ისმის. ზეპირად ვიცი, სად ვინ მეცადინეობს. იცით, რა ლამაზი ხმებია! იცით, რა სამყაროა მუსიკა! რამდენი რამე მინახავს, როცა ვუკრავ, სად არ ვყოფილვარ, ვინ არ ვყოფილვარ... სახლში რომ ვბრუნდები, მელოდიები ჩემში მღერიან - მღერიან ქუჩაში, მეტროში, გზაში... აღარც სიცივისაგან მაბაბანებს, ვეღარც გაძგიფულ ასფალტს ვამჩნევ და არც გაჭირვება მაფიქრებს. ასეთ დროს მჯერა, რომ ქარს გაჰყვება, აიხეწება ყველა გასაჭირი.

**აამტუტებს** - აურ-დაურევს, ააფორიაქებს.
**აბაიმე** - დანაყების, წყენის წამოძახილი.
**აბრანძული** - ბრანძებში, ძონძებში გახვეული.
**ავანგი** - თამბაქოს ხმელი ფოთლების ასხმულა.
**ავრეხი** - უნაყოფო ვაზი.
**ამლაყი** - ჭრელი ცხენი.
**აოშვა** - ნახნავი მიწის გაფხვიერება.



I ექსპერიმენტული სკოლის V კლასის მოსწავლე **გიორგი ცაგარელი**

## ლექსიკონი

### ზ

**ზადი** - მცირე ნაკლი, წუნი.
**ზაკვა** - ცბიერება, სიფლიდე - „პირით სიყვარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს“.
**ზანგელა** - წაბლისფერი, შავწითელი. აჭარაში ზანგელას თხუპნია ადამიანზე იტყვიან.
**ზანდური** - ხორბლის ერთ-ერთი ქართული ჯიში. იქნებ უფროსებისაგან გაიგოთ ქართული ხორბლის სხვა ჯიშების სახელები.
**ზარგარი** - ოქრომჭედელი, ჯავაირჩი.
**ზარდახშა** - ძვირფასეულობის შესანახი ყუთი ან კოლოფი.
**ზარაურთები** -„სახლის საშვენებელი ჭურჭელი“.
**ზარნაშო** - დიდი ბუ.
**ზარნიში** - ლითონის ნივთებზე ამოჭრილი და ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული სახეები. აქედან სიტყვა - მოზარნიშებული.
**ზედაშე** - შესაწირავი ღვინო, ხმარობდნენ საეკლესიო რიტუალების შესრულებისას ზიარების დროს, ჯვრისწერისას.
**ზეკარი** - უღელტეხილი, გადასასვლელი მთებში.
**ზერე-ქვერე** - „სნეული, არც წოლით იყოს, არც მრთლად“. აბა, რას უნდა ნიშნავდეს ზერე-ქვერედ ნასწავლი!?
**ზიკიპილტი** - ასე ეძახიან მესხეთში აკვანზე შესაბმელ საჩხარუნებელ სათამაშოს. ერთ ძველ ხალხურ ძილისპირულში კი ამ აზრით ნახმარია სიტყვა ჩანჩხურა.
**ზიკიპინტრე** - ჯორა, სიმებიან საკრავზე სიმების გადასაჭიმი ფირფიტა.
**ზუჩი** - მეომრის რკინის ქუდი. აბა თუ გაიხსენებთ, ან თუ მიაგნებთ ასეთი ქუდის სხვა სახელებს.

# კრიპტოგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავიწყოთ** იმით, თუ რა არის კრიპტოგრამა. კრიპტოს და გრამა ბერძნული სიტყვებია. პირველი ნიშნავს საიდუმლოს, ფარულს, მეორე - ჩანაწერს. გამოდის, რომ კრიპტოგრამა საიდუმლო, პირობითი ნიშნებით შედგენილი ჩანაწერებია. ჩვენს კრიპტოგრამაში რიცხვებით გარკვეული ასოებია „გასაიდუმლოებული“, ანუ დაშიფრული. თუ ამ რიცხვების შესაბამის ასოებს სწორად ჩასვამთ მათ ქვეშ განლაგებულ უჯრედებში, წაიკითხავთ „დილის“ განახლებული ნომრების მკითხველებისათვის კარგად ნაცნობ სალექსო სტრიქონებს.

ახლა კი თანდათან ამოვხსნათ, გავშიფროთ ჩვენი თავსატეხის საიდუმლო.

**10-7-10-11 - წმინდანი, ქართველთა განმანათლებელი.**

**6-1-9-1-12-7 - ქართველი მეფე-ქალი.**

**1-12-17-7-5-7 - ფრინველთა მეფე.**

**17-15-1-12-11 - პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი (გამოდიოდა 1881 წელს).**

**13-1-9-1-7-1 - ქალთა ცეკვა.**

**3-7-8-1 - ამით იწყება დღე; ასე ჰქვია საბავშვო ჟურნალს; ეს არის დრო, როცა მშვიდობას ვუსურვებთ ერთმანეთს...**

**16-5-1-12-7 - ის, რაც გათენებისას მაცოცხებლად ეპკურება მცენარეებს; რაც მხოლოდდამხოლოდ წყლის წვეთია, მაგრამ ყველაზე ლამაზი, მარგალიტის მძივივით მბრწყინავი...**

**8-7-8-4 - ძველი ქართული სიმღერა - მზის და შუქურ-ვარსკვლავის საგალობელი.**

**2-1-12-7 - მთა და...**

**2-14-3-4 - ფრინველების ბინა, საბუდარი, სადაც ისინი კვერცხებს დებენ და ბარტყებს ჩეკენ; კიდევ ასე ჰქვია ხმლის ქარქაშს, ზოგიერთი მუსიკალური საკრავის, ანდა სათვალის შესანახ კოლოფს...**

და ბოლოს, გვინდა წაიკითხოთ და დაიმახსოვროთ დიდი ქართველი პოეტის, „ამოსაცნობი“ სტრიქონების ავტორის სახელი - 3-1-5-7-6-7. რა გვარი იყო ეს პოეტი, რა იცით მის შესახებ? თუ არ იცით, იქნებ უფროსებს - მშობლებს, და-ძმებს ან მასწავლებლებს აამბობინოთ.

| 15 | 9 | 1 | 17 | 5 | 7 | 8 | 7 | | 14 | 10 | 3 | 1 | | 13 | 17 | 1 | 5 | 8 | 11 | 2 | 3 | 4 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| 13 | 1 | 16 | 10 | 11 | 2 | 8 | 1 | 3 | | 6 | 1 | 5 | 7 | 13 | 1 | 3 | 1 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| 5 | 7 | 10 | | 1 | 12 | 7 | 13 | | 13 | 7 | 3 | 1 | 9 | | 9 | 11 | 13 | 14 | 8 | 1 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| 13 | 1 | 3 | | 1 | 12 | 7 | 13 | | 17 | 1 | 5 | 1 | | 13 | 1 | 3 | 1 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# გამოცანები

**შოთა ამირანაშვილი**

კობა სამი წლისა გახლავთ,
ზეინაბი - ათის;
ძმაზე ორჯერ უფროსია
შუათანა - ფატი.
აბა, ერთად რამდენია
წლოვანება მათი!

**შალვა ზედელაშვილი**

ჩვენი ძველი მეგობარი
ახლაც ჩვენთან არის;
მწყემსის კარგი თანაშემწე
მცველი მისი ფარის.
მუდამ მტკიცე დარაჯია
ჩვენი ეზო-კარის.







## ვინ მოიგო?!

„დილის" წინა ტირაჟში გათამაშდა ლატარეა, რომლის საიდუმლოს ახლაღა გაგიმჟღავნებთ: იმ ეკზემპლარის მფლობელები, რომელშიც „გამორჩენილია" გვერდის აღმნიშვნელი ციფრი „10", საჩუქრად მიიღებენ მაღაზია „ბარბის" პრიზებს; ხოლო ისინი, რომელთა ჟურნალშიც არ აღმოჩნდება გვერდის აღმნიშვნელი ციფრი „11", დასაჩუქრდებიან „კოკა-კოლას" პრიზებით.

საჩუქრების მისაღებად იღბლიან ეკზემპლარებთან ერთად მოგვაკითხეთ „დილის" რედაქციაში, კოსტავას ქ. №14, V სართული.





ამ ვარსკვლავებს ექვს-ექვსი სხვადასხვა ფერის ქიმი აქვთ და თითოეულში ექვს-ექვსი რიცხვია ჩაწერილი. შეგიძლიათ ჩაიფიქროთ ნებისმიერი რიცხვი. უთხრათ ამხანაგს, რა ფერის სხივშია ეს რიცხვი მოთავსებული პირველ ვარსკვლავში, და რა ფერისაში – მეორეში. ამხანაგი უტყუარად გეტყვით, რა რიცხვი გქონდათ ჩაფიქრებული. თუ კარგად დააკვირდებით, უსათუოდ მიხვდებით, როგორ უნდა გამოიცნოთ სხვისი ჩაფიქრებული რიცხვი.

გიორგი გუგეშაშვილი

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30

გამოდის 1904 წლიდან

ყდაზე ნახატი ვაჟა ქურხულისა

დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ.

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ხელმომწერთათვის: 2 ლარი

ინდექსი 76055